

ყურადღება: დოპინგი! სამახსოვრო ოლიმპიელისათვის

მოცემულ სამახსოვროში მოყვანილია ამონარიდები მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსიდან. იგი მოგვითხრობს დოპინგ-კონტროლის პროცედურის გავლისას სპორტსმენთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

ბროშურა განკუთვნილია სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისათვის და სამედიცინო პერსონალისათვის. ასევე სპეციალისტებისათვის, რომლებიც დაკავებულნი არიან სპორტში დოპინგის გამოყენების პრობლემით.

სპორტი – ფუნდამენტური მოვლენაა. იგი ხსნის ყველაზე დახურული სახელმწიფოების საზღვრებს, ადვილად ლახავს ენობრივ და ერთაშორის ბარიერებს, ამაღლებს ქვეყანათა პრესტიჟს და ეხმარება მათ მსოფლიო არენაზე თვითდამკვიდრებაში.

არც ერთი სხვა სფერო არ იპყრობს ისეთ ინტერესს, როგორსაც სპორტი – მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრების დროს მილიონობით ადამიანი ერთიანად გულშემატკივრობს თავის ფავორიტს და ემოციებით ივსება ჩემპიონების ეკრანზე გამოჩენისას. ხოლო სპორტული პირამიდის მწვერვალს წარმოადგენს ოლიმპიური თამაშები, რომელიც არის სამართლიანი სპორტის იდეის დღესასწაული.

სპორტი, ახალგაზრდა თაობის აღზრდის ფორმაა. იგი ანვითარებს მთავარ პრიორიტეტს – ჯანსაღი ცხოვრების წესს. სპორტის ამ ფუნქციის გადაფასება შეუძლებელია. სწორად ამაშია ჩვენი მომავლის იმედი, მაგრამ დღესდღეობით, იგი სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფება. დოპინგი ამახინჯებს ადამიანის სხეულს და ღუპავს სპორტის სტრუქტურის მთელ ამ უნიკალურ იდეას.

არსებობს დოპინგის გამოყენების აკრძალვის სამი საფუძველი:

- სპორტული შეჯიბრების სამართლიანობის გარანტია;
- სპორტსმენების ფიზიკური და მორალური ფასეულობების დაცვა;
- სპორტის ძირითადი არსისა და ფასეულობების შენარჩუნება.

პრეპარატები და მეთოდები, რომლებიც ზრდიან სპორტსმენების ფიზიკურ შესაძლებლობებს, ამახინჯებენ მათ ბუნებრივ მონაცემებს და იმ მიზანსწრაფვას, რომლითაც ჩვენ ვიხიბლებით. დოპინგის მეშვეობით, უღირსი სპორტსმენი ართმევს კუთვნილ გამარჯვებას ღირსეულს და ამით აქვეითებს სპორტის ფასეულობას.

ყველა სპორტსმენი ვალდებულია დაექვემდებაროს საერთაშორისო ანტიდოპინგური კოდექსის წესებს, რომლებიც ჩართულია ყველა საერთაშორისო სპორტული ფედერაციების, მსხვილი სპორტული შეჯიბრებისა და ოლიმპიური თამაშების რეგლამენტებში.

საერთაშორისო ანტიდოპინგური კოდექსის მუხლი 1–ის თანახმად, დოპინგის გამოყენება განისაზღვრება შემდეგი წესებიდან ერთ–ერთის ან რამოდენიმეს დარღვევით:

1. სპორტსმენის ორგანიზმიდან აღებულ სინჯში აკრძალული სუბსტანციის ან მისი მეტაბოლიტების არსებობა.
2. სპორტსმენის მიერ აკრძალული სუბსტანციის/მეთოდის გამოყენება ან მისი გამოყენების მცდელობა იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგით დასრულდა იგი.
კომენტარი: გამოყენება ჩაითვლება დამტკიცებულად აღიარების ან მესამე პირის მოწმობის შემთხვევაში.
3. სინჯის აღებაზე უარის თქმა ან არგამოცხადება საპატიო მიზეზის გარეშე.
4. სპორტსმენის მიუწვდომლობა არასატურნირო პერიოდში დოპინგ–კონტროლის ჩასატარებლად. ასევე ინფორმაციის არ მიწოდება მისი ადგილმდებარეობის შესახებ.
5. ფალსიფიკაცია ან ფალსიფიცირების მცდელობა დოპინგ–კონტროლის ნებისმიერ ეტაპზე.
6. აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების ფლობა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას თუ სპორტსმენს არ გააჩნია სპეციალური ნებართვა მათი თერაპევტური მიზნებით გამოყენებისა.
7. ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციის და მეთოდის გავრცელება.
8. აკრძალული სუბსტანციის შეყვანა ან მისი მცდელობა სპორტსმენის ორგანიზმში. ასევე ყოველი სახის ხელშეწყობა, წაქეზება და ა.შ.

გახსოვდეს, რომ აკრძალული ნივთიერებების და მეთოდების გამოყენებაში პასუხს აგებს მხოლოდ სპორტსმენი!

დღესდღეობით დოპინგურ ნივთიერებებს მიეკუთვნება შემდეგი ჯგუფების პრეპარატები:

3. მუდმივად აკრძალული ნივთიერებები (არასატურნირო პერიოდშიც)

- S1. ანაბოლიკური ანდროგენური სტეროიდები
- S2. ჰორმონები და ჰორმონალური ნივთიერებები
- S3. ბეტა–2–აგონისტები
- S4. ანტიესტროგენური აქტიურობის მქონე აგენტები
- S5. შარდმდენი და სხვა შემნიღბველი აგენტები

2. სატურნირო პერიოდში აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები

- S6. სტიმულატორები
- S7. ნარკოტიკები
- S8. კანაბინოიდები
- S9. გლუკოკორტიკოსტეროიდები

3. ცალკეული სპორტის სახეობებისთვის აკრძალული პრეპარატები

- P1. ალკოჰოლი
- P2. ბეტა–ბლოკატორები

დოპინგის მეთოდებს მიეკუთვნება:

M1. ჟანგბადის ტრანსპორტირების გაუმჯობესება

აკრძალულია:

1. სისხლში ისეთი ნივთიერებების შეყვანა, როგორებიცაა აუტოლოგიური, ჰომოლოგიური ან ჰეტეროლოგიური პრეპარატები. ასევე ნებისმიერი წარმოშობის ერიტროციტები.
2. ორგანიზმში ხელოვნურად ჟანგბადის შეყვანა, ტრანსპორტირება ან მიწოდება. პერფტორაგენტების, ეფაპროქსირალის (RSR13) და შეცვლილი ჰემოგლობინის წარმოებულების გამოყენება (ჰემოგლობინზე დაფუძნებული სისხლის შემცვლელი, მიკროინკაფსულირებული ჰემოგლობინის პროდუქტები).

M2. ფიზიკური და ქიმიური მანიპულაცია

აკრძალულია:

1. დოპინგ-კონტროლის პროცედურის პროცესში ჩარევა ან ხელის შეშლა, კატეტერიზაცია, შარდის მოტყუებით გამოცვლა.
2. შიდა გადასხმები გარდა გადაუდებელი ნებადართული სამედიცინო მკურნალობისა.

M3. გენურ დონეზე ჩარევა

აკრძალულია არათერაპევტული გამოყენება უჯრედების, გენებისა და გენეტიკური ელემენტების, ასევე გენური ექსპრესიის ცვლილება სპორტული მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სპორტსმენი—ოლიმპიელი ვალდებულია:

- იცოდეს, ცნობდეს და ასრულებდეს მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის დებულებებს.
- სისტემატიურად გადიოდეს დოპინგ-კონტროლის პროცედურებს.
- საკუთარ თავზე იღებდეს პასუხისმგებლობას ყოველგვარი ნივთიერების, სამედიცინო პრეპარატებისა და მეთოდების გამოყენებაზე.

სპორტსმენის ქცევის თავისებურებანი დოპინგ-კონტროლის პუნქტში გამოცხადებისას

- დოპინგ-კონტროლის პუნქტში გამოცხადების დრო ფიქსირდება პროტოკოლში;
- სპორტსმენმა უნდა გაიაროს იდენტიფიკაცია;
- პროტოკოლში ფიქსირდება სპორტსმენის საკონტაქტო ინფორმაცია;
- სპორტსმენი წარმოადგენს ჩამონათვალს ყველა იმ მედიკამენტისა და საკვები დანამატისა, რომელიც მან მიიღო უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში.

სპორტსმენის უფლებები დოპინგ-კონტროლის პროცედურის გავლის დროს

- წარმომადგენლის ან საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის ყოლის უფლება;
- კონფიდენციალურობის დაცვის უფლება;
- სინჯების შერჩევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის ფლობის უფლება;
- საპატიო მიზეზით პროცედურის გადავადების უფლება;
- ვარჯიშის დასრულების, ტანსაცმლის გამოცვლისა და საიდენტიფიკაციო საბუთების აღების უფლება;
- დაჯილდოვების ცერემონიაზე და პრესკონფერენციაზე დასწრების უფლება;
- გარკვეული მოდიფიკაციების მოთხოვნის უფლება შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისათვის;
- დოპინგ-კონტროლის პროტოკოლში შენიშვნებისა და კომენტარების შეტანის უფლება;
- მშობლიურ ენაზე შენიშვნის შეტანის უფლება.

სპორტსმენის მოვალეობანი დოპინგ-კონტროლის პროცედურის გავლის დროს

- სინჯის აღების შეტყობინების შემდეგ, სპორტსმენს არ აქვს აბაზანით ან ტუალეტით სარგებლობის უფლება;
- დოპინგ-კონტროლის პუნქტში გამოცხადება უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში
 - არაუგვიანეს 60 წუთისა გამდაფრებული კონტროლის შემთხვევაში და არა უგვიანეს 24 საათისა წინასწარი შეტყობინებით შემოწმების შემთხვევაში;
- შეტყობინებიდან სინჯის ჩაბარების პროცედურამდე სპორტსმენი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს დოპინგ-კონტროლის წარმომადგენლის მხედველობაში;
- სპორტსმენმა უნდა გაიაროს იდენტიფიკაცია;
- სპორტსმენმა უნდა შეასრულოს ყველა პირობა, რომელიც დაკავშირებულია სინჯის აღების პროცედურასთან.

სანქციები სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერებების ან მეთოდების მოხმარების აღმოჩენისას

1. შეჯიბრის შედეგების ანულირება;
2. დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერებების გამოყენებისა და ფლობისათვის;
 - პირველი შემთხვევა: დისკვალიფიკაცია ორი წლის ვადით;
 - მეორე შემთხვევა: სამუდამო დისკვალიფიკაცია.
3. სტიმულატორების მოხმარება, რომლებიც შეტანილია აკრძალულ ნივთიერებათა სიაში, მაგრამ გამოყენებულია არაგანზრახ მათი ადვილად მისაწვდომობის გამო.
 - პირველი შემთხვევა: მინიმალური ვადა – გაფრთხილება შემდგომ შეჯიბრებში მონაწილეობის მიღების ნებართვით; მაქსიმალური ვადა – დისკვალიფიკაცია ერთი წლით.
 - მეორე შემთხვევა: დისკვალიფიკაცია ორი წლის ვადით;
 - მესამე შემთხვევა: სამუდამო დისკვალიფიკაცია.
4. დისკვალიფიკაცია სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის;

- დოპინგ-კონტროლზე არგამოცხადება ან მისი პროცესის ხელის შეშლა ისჯება ისევე, როგორც აღნიშნულია 1 და 2 პუნქტებში;
 - აკრძალული ნივთიერებების დანიშვნის, გავრცელების ან შენახვისათვის დისკვალიფიკაცია 4 წლიდან სამუდამო ვადამდე;
5. **არასრულწლოვანთა მიერ დოპინგის გამოყენება** განიხილება როგორც განსაკუთრებულად სერიოზული დანაშაული. თუ ეს მოხდა სპორტსმენის პერსონალის დახმარებით, პერსონალი ექვემდებარება სამუდამო დისკვალიფიკაციას;
 6. სპორტსმენის არგამოცხადება არასატურნირო დოპინგ-კონტროლზე ან მისი ადგილმდებარეობის არ მითითება ისჯება დისკვალიფიკაციით სამი თვიდან ორ წლამდე ვადით;

დოპინგ-კონტროლის გავლის წინასწარი შეტყობინების მიღებისას, თქვენ ვალდებული ხართ:

- გაეცნოთ შეტყობინების ტექსტს, აღნიშნოთ მისი მიღების დრო და მოაწეროთ ხელი;
- ერთი საათის განმავლობაში გამოცხადდეთ დოპინგ-კონტროლის პუნქტში თქვენი გუნდის წარმომადგენლებთან ერთად;
- თან იქონიოთ პირადობის ან აკრედიტაციის დამადასტურებელი საბუთი;
- შეარჩიოთ კონტეინერი, რომელშიც მოთავსებულია დალუქული (შეამოწმეთ!) სინჯის მისაღები ჭურჭელი, რის შემდეგაც პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით გაავსოთ იგი შარდით (არანაკლებ 75 მლსა);
- შარდის ნაკლებობის შემთხვევაში – დახუფოთ ჭურჭელი (არ გადასცეთ იგი სხვას!), გადინაცვლოთ ანტიდოპინგური პუნქტის მისაღებში და მიიღოთ შემოთავაზებული სითხეები (აუცილებლად გაუხსნელი!);
- შარდი მოათავსოთ „A“ და „B“ ჭურჭელში, გადაამოწმოთ მასზე მოყვანილი და პროტოკოლში მითითებული ნომრების იდენტიურობა და დარწმუნდეთ სინჯების სწორად დალუქვაში.
- პროტოკოლში მიუთითოთ ყველა იმ პრეპარატის ჩამონათვალი, რომელიც მიიღეთ უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში.
- დაადასტუროთ ხელმოწერით, რომ სინჯის აღების პროცედურამ ჩაიარა დარღვევების გარეშე და პროტოკოლში შეტანილი ინფორმაცია ზუსტია.

ყურადღება! შეჯიბრის ყოველი დღის დასრულების შემდეგ, სავალდებულოა დოპინგ-კონტროლის გასავლელ სპორტსმენთა სიების შემოწმება!!!

სპორტსმენის ცხოვრება – ესაა უდიდესი შრომა და თვითდისციპლინა; ესაა მიზანმიმართულობა და დაუოკებელი სწრაფვა პირველობისაკენ, რის მისაღწევადაც სპორტსმენს უწევს შერკინება არა მხოლოდ მეტოქესთან, არამედ საკუთარ თავთანაც.

გახსოვდეს, სპორტსმენი, რომელიც იყენებს დოპინგს – არცხვენს თავის ქვეყანას!

გისურვებთ წარმატებებს!